საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

№ 1958/03 "28" 11 2012

შემოსავლების სამსახურის საბაჟო
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი მღებრიშვილს

ბატონო გიორგი,

„ინტლექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად გიგზავნით კომპანია „ჯვ როიალ არმენია ლტდ"-ს სახელზე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებზე „RA ROYAL ARMENIA" (რეგ. N 23091), „RA ROYAL ARMENIA RECLOSABLE Black Pepper Ground დაფქული შავი პილპილი МОЛОТЫЙ ЧЕРНЫЙ ПЕРЕЦ" (რეგ. N 23092) და „ЧЕРНЫЙ МОЛОТЫЙ ПЕРЕЦ Open here ALWAYS FRESH THANKS TO ZIP LOCK RECLOSEABLE PEPPER Black ground" (რეგ. N 23093) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე საქპატენტის თავმჯდომარის 2012 წლის 28 ნოემბრის ბრძანებების დამოწმებულ ასლებს თანდართული დოკუმენტაციით.

დანართი: 16 ფურცელი

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული
აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსი

მერი მაჭარაშვილი

176 736/21
5 12 12

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

„28" 11 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1616/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 14 ნოემბრის N 69678/03 განაცხადით კომპანია „ჯვ როიალ არმენია ლტდ"-ს (მის: 38 აპ3/26 დავიდაშენ 2, ერევანი, სომხეთი) წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „RA ROYAL ARMENIA" (რეგ. N 23091) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „RA ROYAL ARMENIA" (რეგ. N 23091) საქართველოში რეგისტრირებულია 28.11.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 28.11.2022 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 30-ე და 32-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „RA ROYAL ARMENIA" (რეგ. N 23091) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 144, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 28.11.2012).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანია „ჯვ როიალ არმენია ლტდ"-ს წარმომადგენელს დავით ზურაბიშვილს (მის: ნაფარეულის ქ. 18, ბ.7, 0179 თბილისი, საქართველო).

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 23093

მფლობელი: ჯვ როიალ არმენია ლტდ

38 აპპ/26 დავიდაშენ 2, ერევანი, სომხეთი

კლასი:

30 - პილპილი, დაფქული პილპილი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 23092

მფლობელი: ჯვ როიალ არმენია ლტდ

38 აპპ/26 დავიდაშენ 2, ერევანი, სომხეთი

კლასი:

30 - პილპილი, დაფქული პილპილი.